საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-129

10/03/2023

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯის“ სახიფათო ნარჩენების (სამედიცინო ნარჩენების) ინსინერაციის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (წარმადობის გაზრდა) გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „სლოვ გლობალ სერვისზე“ გადაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 17 მარტის საქართველოს კანონის (№1445) მე-2 მუხლის მე-2 ნაწილისა და სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 6 მარტის N21/1423 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯიზე“ (ს/კ:205295893) სახიფათო ნარჩენების (სამედიცინო ნარჩენების) ინსინერაციის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (წარმადობის გაზრდა), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 7 დეკემბრის №2-1141 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „სლოვ გლობალ სერვისს“ (ს/კ:404664323);

2. შპს „სლოვ გლობალ სერვისმა“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 7 დეკემბრის №2-1141 გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;

3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს: სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს, სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯის“ და შპს „სლოვ გლობალ სერვისს“;

5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯისა“ და შპს „სლოვ გლობალ სერვისის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

6. ბრძანების გამოცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში

ოთარ შამუგია

მინისტრი